აკადემიკოს ვახტანგ დავითაიას 85 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

2019 წლის 20 დეკემბერს მერაბ ბერძენიშვილის კულტურის ცენტრ „მუზაში“ შედგა ვახტანგ დავითაიას 85 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.



ამავე დღეს მოხდა ვახტანგ დავითაიას ალბომის „მოცალეობის ჟამს“ პრეზენტაცია.

ალბომის შინაარსის გადმოსაცემად მოვიყვანთ ვ. დავითაიას სიტვებს:

„ალბომის დასახელება თავად მიანიშნებს მის რაობაზე. საკითხი ეხება სხვადასხვა „არა სამუშაო გარემოში პროფესიულ გართობას. „ეს გართობა“ არქიტექტორის შემოქმედებითი ცხოვრების ნაწილია . ამ პროფესიული გართობის საინტერესო კადრი - „გართობა“ ექსტრემალურ სიტუაციაში „დაიჭირა“ ფოტოხელოვანმა, იური მეჩითოვმა, რომელსაც სიამოვნებით დავუთმე ყდის შიდა გვერდი.

ალბომის დათვალიერებისას, ადამიანმა შეიძლება იფიქროს, ეს კაცი მოცლილი ყოფილაო.

არა, მოცლილი არ ვიყავი, მოცლილობის დროსაც ვმუშაობდი. როდესაც ეს ჩანახატები სხვადასხვა წლების საქაღალდეებიდან ამოვკრიფე, მივხვდი, რომ ეს მხოლოდ „გართობა“ არ იყო. გადავწყვიტე ალბომად გამოცემა. ცდუნებამ დამძლია და ალბომში, მის მეორე ნაწილში, ზოგიერთი საპროექტო ესკიზებიც შევიტანე. იყოს რა, რას აშავებენ.“



ასევე შედგა ჩვენი პედაგოგის თამაზ დოგრაშვილის წიგნის „მხოლოდ ფაქტები ვახტანგ დავითაია 85“ პრეზენტაცია. ავტორმა წიგნი მიუძღვნა იუბილარს: „ჩავთვალე, ამ საიუბილეო წიგნში, უპირატესად, მესაუბრა ფაქტებზე, რომლებიც თავად „მოგვითხრობენ“ ვახტანგ დავითაიაზე.“ აღნიშნავს თამაზ დოგრაშვილი.